შემოსვლის თარიღი: 03/05/2022 წ

გასვლის თარიღი: 15/06/2022 წ

დასკვნა

ქ. ბათუმში, ჯავახიშვილის ქ. №80-ში მდებარე 3086 კვ.მ. მიწის ფართობზე არსებული საცხოვრებელი კორპუსის (ს/კ 05.26.02.006) ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია მიშენებებში დაზიანებების და ბინებში მოსახლეობის მიერ თვითნებურად არაკვალიფიციურად ჩატარებული სარეკონსტრუქციო სამუშაოების გამო. შენობაზე დაფიქსირებული დაზიანებები კლასიფიკაციის მიხედვით განეკუთვნებიან I – II. ხოლო ცალკეულ შემთხვევებში (მიშენებებში) III ხარისხის დაზიანებებს, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია შენობის უსაფრთხო ექსპლუატაცია და რენტაბელურია სარეაბილიტაციო-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარება. საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი გარემოებები:

- მოხდეს შენობაზე გეოდეზიური ნიშნულების(რეპერები) დატანა და განხორციელდეს მონიტორინგი იმის დასადგენად თუ შენობის რა ნაწილი განიცდის ჯდენას. ნიშნულების დატანა მოხდეს როგორც შენობის ძირითად ნაწილებზე, ისე მიშენებებზე;
- ჯდენების დაფიქსირების შემთხვევაში გასაძლიერებელ ნაწილს საპროექტო ორგანიზაციის მიერ ჩაუტარდეს დეტალური კვლევა და მის საფუძველზე დამუშავდეს გაძლიერების პროექტი;
- იმ შემთხვევაში თუ დაფიქსირდება სიტუაციის სტაბილიზაცია, მზიდ კედლებსა და მათი შეერთების ადგილებში ბზარების და გახსნილობების აღმოფხვრის მიზნით, დაზიანებები დამუშავდეს პოლიმერცემენტის ხსნარით და

შესრულდეს სარემონტო-კოსმეტიკური სამუშაოები;

- **შემოწმდეს მზიდი კედლების მოხსნის ადგილები და მოჩარჩოებების არ არსებობის შემთხვევაში, მოხდეს კედლების აღდგენა ან/და სათანადო ანგარიშების საფუძველზე მოჩარჩოება;**
- **შენობის გარშემო მოხდეს წყალარინების სისტემების მოწყობა-გამართვა;**
- **სადარბაზოებში მოუვლელობის შედეგად დაზიანებების აღმოსაფხვრელად ჩასატარებელია სარემონტო სამუშაოები.**

დაწვრილებით განმარტებები გაკეთებულია დასკვნის კვლევით ნაწილში.

გიორგი მარჯანიძე